ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 438

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №31-ში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ. 01024029477) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №31-ში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ 01024029477) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1520.1746 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №31-ში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ. 01024029477) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე